შპს „პონტიკა" ინსპექტირების ორგანო
ს/კ 402073448
მისამართი: ქ. თბილისი.
შ. ნუცუბიძის ქ. N183/185
ტელ.: +995555295558
Email: abuashvili.lala@gmail.com

GAC – IB –0306
სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ხევძმარის ქუჩა #1-ის მიმდებარედ, შ.პ.ს. „დონა გრუპი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი # 01.11.13.001.122) დაპროექტებული „მრავალფუნქციური კომპლექსი"-ს შენობის სამეზობლო მიჯნაზე არსებული შენობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის და საპროექტო შენობის მშენებლობის პროცესში მათზე ზეგავლენის შეფასება/ინსპექტირების ანგარიში

№ TC 2208/30.06.2022

მომსახურების სფერო: *ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების), შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება*

ინსპექტირების დაწყების თარიღი: *14.06.2022*

ინსპექტირების დასრულების თარიღი: *30.06.2022*

დამკვეთი: *შპს „დონა გრუპ" ს/კ 206345454*

საფუძველი: *ხელშეკრულება №606/06-22; განაცხადი*

შემსრულებელი ექსპერტები და შემსრულებლების კვალიფიკაცია:

რამაზ აფხაძე. უმაღლესი განათლებით ინჟინერ–მშენებელი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის კვალიფიკაციით. სპეციალობით მუშაობის 47 წლის სტაჟით

სპეციალისტების წინაშე დასმული ამოცანა:

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ხევძმარის ქუჩა #1-ის მიმდებარედ, შ.პ.ს. „დონა გრუპი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი # 01.11.13.001.122) დაპროექტებული „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს შენობის სამეზობლო მიჯნაზე არსებული შენობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის და საპროექტო შენობის მშენებლობის პროცესში მათზე ზეგავლენის შეფასება;

გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები – ,, სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01 – 09).
- ✓ ,,საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია“, დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ, 1991 წლის 17 ივლისს. თბილისი 1992წ, 140 გვ.
- ✓ СНиП II-22-81* Каменные и Армокаменные Конструкций. (სნ და წ II-22-81* ქვის და არმოქვის კონსტრუქციები).
- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები - „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08).
- ✓ СП 13-102-2003 ,,ნაგებობების და შენობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები”
- ✓ PNT/IB/IP-7.1-21-04-A22 ინსპექტირების პროცედურა



გამოკვლევა

დავალების თანახმად შესწავლილ იქნა ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ხევძმარის ქუჩა #1-ის მიმდებარედ, შ.პ.ს. „დონა გრუპი“-ს (ID ნომერი: 206345454) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (მიწის საკადასტრო კოდი # 01.11.13.001.122. ძველი საკადასტრო კოდის ნომერი 01.11.13.001.117) სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, დაპროექტებული „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს მშენებლობის დროს მათზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებისა და შენობების შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით.

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ხევძმარის ქუჩა #1-ის მიმდებარედ, შ.პ.ს. „დონა გრუპი“-ს ადმინისტრაციას დაგეგმილი აქვს რამოდენიმე ბლოკისაგან შემდგარი „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს შენობების მშენებლობა.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, საპროექტო „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს შენობებისათვის გამოყოფილი უბნის ლითოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ხუთი ფენა (მათ შორის ოთხი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი): ტექნოგენური (ნაყარი) გრუნტის (ფენა-1) ქვეშ, რომელიც წარმოდგენილია კენჭების, ღორღის, იშვიათად სამშენებლო ნაგვის და თიხოვანი გრუნტის (თიხნარ-ქვიშნარი) შემკვრივებული ნარევით (რომლის სიმძლავრე რელიეფის ზედაპირიდან 1,10÷5,0 მ-ის ფარგლებშია), მონაწილეობენ, I სგე _ მეოთხეული თიხოვანი გრუნტი – ძნელადპლასტიკური კონსისტენციის მოყვითალო-ყავისფერი თიხნარი (ფენა 2) 10%-მდე ხვინჭის ჩანართებით (ფენა სულფატური მარილების შემცველია); II სგე _ მსხვილნატეხოვანი გრუნტი - კენჭნარი (ფენა 3), ფენის სიმძლავრე 1,50÷3,20 მ-ია; III სგე _ ძირითადი ქანის, ე.წ. „მაიკოპის წყების“ გათიხებული, ელუვირებული ზონა – ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხოვანი (თიხა) გრუნტი (ფენა 4), ფენის სიმძლავრე 2,70÷4,20 მ-ია და IV სგე _ ნახევრადკლდოვანი ძირითადი ქანი - სუბარგილითი (ფენა 5), წარმოდგენილი თიხოვანი ქვიშაქვების თხელი

შუაშრეებით (ძირითადად 10 სმ-მდე). ჰიდროგეოლოგიური პირობებით მიწისქვეშა წყალი გამოვლინდა ტერიტორიაზე გაყვანილ ყველა ჭაბურღილში.

საპროექტო შენობის ტერიტორიას ესაზღვრება: **ჩრდილოეთიდან** – სამეზობლო მიჯნაზე მდებარე: 1. თანამესაკუთრეთა, შპს „ლიდერი L“-ის (ID ნომერი: 205240210), შპს „აგრო ბიზნეს გრუპი“-ს (ID ნომერი: 405240261), შპს „მოდერნ ბიზნეს გრუპი“-ს (ID ნომერი: 400052036) და შპს „გემა“-ს (ID ნომერი: 400212471) საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.079 (ქალაქი თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა #17ა) და მასზე განთავსებული ათსართულიანი მრავალფუნქციური კომპლექსის შენობა (შენობა 1/10 საკადასტრო გეგმის მიხედვით), რომელიც მდებარეობს სამეზობლო მიჯნაზე; 2. მოქალაქე კახა ბერაძის (პირადი ნომერი: 01011042052) საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.050 [ქალაქი თბილისი, გლდანის რ-ნი, მ/ს „ახმეტელთან“, მუხიანში მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს (ნაკვეთი 1/50)]; 3. მოქალაქე გიორგი აფციაურის (პირადი ნომერი: 01008014138) საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.035 (ქალაქი თბილისი, მ/ს „ახმეტელი“-დან მუხიანში მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს განლაგებულ 4 სართულიან შენობებსა და ავტობუსების გარაჟებს შორის); 4. დაურეგისტრირებელი თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდის გარეშე; 5. შპს „დონა გრუპ“-ს (ID ნომერი: 206345454) საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.121 (ქალაქი თბილისი, ხევძმარის ქუჩა #1-ის მიმდებარედ) და 6. შპს „ახალი მზერა“-ს (ID ნომერი: 204999957) საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.033 (ქალაქი თბილისი, ალეკო გობრონიძის ქუჩა #1ი). **აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან** – სამეზობლო მიჯნაზე მდებარე, სააქციო საზოგადოება „ქროსი“-ს (ID ნომერი: 204573611) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.002.264 [ქალაქი თბილისი, შეშელიძის ქუჩასა და მუხიანის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ხევძმარის ქუჩა #1-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩა, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გლდანი-მუხიანისკენ მიმავალ გზაზე

ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ (ნაკვ. #2/68); ქალაქი თბილისი, გლდანი-მუხიანისკენ მიმავალ გზაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ (ნაკვ. #2/67); ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, ბაზრობის მიმდებარედ წყალკანალთან ნაკვეთი 02/167; ქალაქი თბილისი, მუხიანის მიმდებარედ (ნაკვ. 2/76); ქალაქი თბილისი, დასახლება მუხიანი, ბაზრობის მიმდებარედ, წყალკანალისაკენ], რომელზეც დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, „არქი ახმეტელი"-ს კორპუსების მშენებლობა. **სამხრეთიდან** – სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, საერთო სარგებლობის შიგა მოხმარების გზა და შპს „გამა"-ს (ID ნომერი: 208208198) საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.004 [ქალაქი თბილისი, ხევძმარის ქუჩა #1 (ნაკვ. 1/4)] და მასზე განთავსებული ერთსართულიანი შენობა-ნაგებობები (შენობები და ნაგებობები 1/1; 2/1; 3/1; 4/1; 5/1 და 6/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით), რომელთაგან უახლოესი (შენობა 5/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით) დაშორებულია საპროექტო წითელი ხაზიდან 7,0 მ-ით. **დასავლეთიდან** – სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შპს „აი ჯი დეველოპმენტ ჯორჯია"-ს (ID ნომერი: 404851503) საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.12.023.019 (ქალაქი თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა #1) და მასზე განთავსებული, კომერციული ფუნქციის მქონე სამსართულიანი შენობა (შენობა 1/3 საკადასტრო გეგმის მიხედვით). **ჩრდილო-დასავლეთიდან** – სამეზობლო მიჯნაზე მდებარე: 1. საზოგადოებრივი სივრცე, საერთო სარგებლობის შიგა მოხმარების გზა; 2. თანამესაკუთრე მოქალაქეების: გიორგი იოსელიანის (პირადი ნომერი: 01003017128), გიორგი მაისურაძის (პირადი ნომერი: 01001014217) და ზაურ იოსელიანის (პირადი ნომერი: 01003016128) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.007 და მასზე განთავსებული კომერციული ფუნქციის მქონე ერთსართულიანი შენობა, რომელიც მდებარეობა სამეზობლო მიჯნაზე; 3. შპს „ა-დ კომპანი"-ს (ID ნომერი: 209437126) საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.084 (ქალაქი თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა #15) და მასზე განთავსებული, საზკვების ობიექტი (რესტორანი „ოქროს ნალი") დამხმარე შენობებით [შენობები 01(2); 02(1); 03(1); 04(3); 05(1); 06(1); 07(1) და 08(1) საკადასტრო გეგმის მიხედვით], ამათგან 01(2); 03(1); 04(3) და 05(1) შენობები განთავსებულნი არიან სამეზობლო მიჯნაზე; 4.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.111 (ქალაქი თბილისი, ხევძმარის ქუჩა #1-ის მიმდებარედ) და 5. დაურეგისტრირებელი თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდის გარეშე.

სიტუაციის გამოკვლევისდროინდელი მდგომარეობა ასახულია ფოტომასალაზე, რომელიც დასკვნას თან ახლავს დანართის სახით.

„მრავალფუნქციური კომპლექსი" შედგება რამოდენიმე ბლოკისაგან. საპროექტო ბლოკები განთავსებულნი არაიან წყნარ რელიეფზე, ისინი პროექტის მიხედვით გეგმაში რთული კონფიგურაციისაა და შედგება ერთმანეთისგან სეისმური ნაკერებით გამოყოფილი ოთხი ბლოკისგან („A", „B", „C" და „F" ბლოკები), რომლებსაც მიწისქვეშა ორ დონეზე გააჩნიათ ავტოსადგომებისთვის განკუთვნილი საერთო სივრცე და ორი ცალკემდგომი ბლოკებისაგან („D" და „E" ბლოკები). „A" ბლოკი განთავსებულია ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და ჩრდილოეთით მდებარე (# 01.11.13.001.079 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთი) წითელი ხაზიდან დაშორებულია დაახლოებით 18,0 მ-ით, ხოლო დასავლეთით მდებარე (# 01.11.13.001.084 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთი) წითელი ხაზიდან დაშორებულია დაახლოებით 12,5 მ-ით. „B" ბლოკი განთავსებულია ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და ჩრდილოეთით მდებარე (# 01.11.13.001.033 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთი) წითელი ხაზიდან დაშორებულია დაახლოებით 19,0 მ-ით, ხოლო აღმოსავლეთით მდებარე (# 01.11.13.002.095 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთი) წითელი ხაზიდან დაშორებულია დაახლოებით 10,0 მ-ით. „F" ბლოკი განთავსებულია ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და აღმოსავლეთით მდებარე (# 01.11.13.002.095 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთი) წითელი ხაზიდან დაშორებულია დაახლოებით 13,0 მ-ით. „A", „B" და „F" ბლოკებს გააჩნიათ საერთო მიწისქვეშა სართულები „C" ბლოკის სახით, ხოლო „B" და „F" ბლოკებს კი გააჩნიათ მიწისზედა ორი საერთო სართული. „D" და „E" ბლოკები ცალკემდგომი ბლოკებია, „D" ბლოკი განთავსებულია ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და სამხრეთით მდებარე (# 01.11.13.001.004 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთი) წითელ ხაზთან მდებარეობს სამეზობლო მიჯნაზე, ხოლო დასავლეთით მდებარე (# 01.11.12.023.019 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთი)

წითელი ხაზიდან შენობის კიდე დაშორებულია დაახლოებით 9,50 მ-ით (მიშენებილი კიბის უჯრედი კი დაშორებულია დაახლოებით 6,0 მ-ით).

ყველა ბლოკი ხასიათდება ერთნაირი საანგარიშო სქემით და შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის კარკასისაგან. ორი ზემოხსენებული ბლოკის, „A“ და „B“ ბლოკების საძირკვლები შესრულებულია Ø1000 მმ. დიამეტრის მქონე მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯებით, ხოლო „F“ ბლოკისა კი Ø1200 მმ. დიამეტრის მქონე მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯებით, რომლებზეც მოწყობილია 1500 მმ. სისქის მონოლითური რკინაბრტონის ფილა-როსტვერკი. „C“ ბლოკის საძირკვლების ტიპი წერტილოვანია და შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონისაგან. „D“ ბლოკის შენობა ფუძე-გრუნტზე დაფუძნებულია მონოლითური რკინაბეტონის 800 მმ. სისქის საძირკვლის ფილით. „E“ ბლოკის შენობა ერთსართულიანი, მსუბუქი შუშა-ლითონის, საზაფხულო კაფეს ტიპის შენობაა, გეგმაში რთული გეომეტრიული ფორმისაა. შენობა მოწყობილია „C“ და „D“ ბლოკებს შორის დამაკავშირებელ მიწისქვეშა გვირაბის გადახურვის ფილაზე.

„მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს საპროექტო ბლოკების შენობები ჩრდილოეთით მდებარე შენობებიდან განთავსებულია უფრო დაბალ ნიშნულზე დასაპროექტო გადაწყვეტით შერჩეული საძირკვლის ტიპები (მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები). ზემოაღნიშნულ შენობებთან მიმართებაში დაცულია სამშენებლო ნორმებისა და წესების - „შენობების და ნაგებობების ფუძეები (სნ 02.01-08)“-ის მე-10 მუხლის („საძირკვლის ჩაღრმავების შერჩევა გრუნტულ პირობების მიხედვით“) მოთხოვნები და საპროექტო შენობის საძირკვლის ძირიდან გავრცელებული წნევის ხაზი ვერ გადაკვეთს ზემოაღნიშნული, არსებული შენობების საძირკვლის კონტურს მათ შორის არსებული საკმაოდ დიდი ჰორიზონტალური მანძილისა და რელიეფის დონეთა შორის დიდი სხვაობის გამო.

საპროექტო „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს აღმოსავლეთით მდებარე # 01.11.13.002.264 საკადასტრო კოდის მქონე, სააქციო საზოგადოება „ქროსი“-ს

საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი თავისუფალია შენობა-ნაგებობებისაგან (დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორპუსების მშენებლობა).

საპროექტო „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს „D“ ბლოკის შენობიდან სამხრეთით მდებარე შპს „გამა“-ს საკუთრებაში არსებულ # 01.11.13.001.004 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე განთავსებული ყველაზე ახლოს მდგომი ერთსართულიანი ადმინისტრაციული შენობა (შენობა 1/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით) დაშორებულია საპროექტო „D“ ბლოკის შენობიდან დაახლოებით 10,0 მ-ით. 1/1-ადმინისტრაციული შენობის საძირკვლის ჩაღრმავება სავარაუდოდ 0,80 მ-ია, ხოლო „D“ ბლოკის 800 მმ. სისქის მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ძირი ჩაღრმავებულია რელიეფის ზედაპირიდან დაახლოებით 5,40 მ-თ. რელიეფის ზედაპირებს შორის დონეთა სხვაობის გათვალისწინებით [# 01.11.13.001.004 და # 01.11.13.001.122 („D“ ბლოკთან) ნაკვეთებს შორის დონეთა სხვაობა დაახლოებით 0,60 მ-ია], დონეთა სხვაობა საძირკვლის ძირებს შორის (5,40-0,80-0,60=4,0 მ) 4,0 მ-ია. „შენობების და ნაგებობების ფუძეები (პნ 02.01-08)“-ის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების თანახმად $tg\Psi=tg\varphi+C_1/p=tg21^{o}+0,1/4,0=0,384+0,025=0,409$, ხოლო მე-4 ფორმულის მიხედვით დონეთა სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს $\Delta h\leq a\ tg\Psi=10X0,409=4,09$მ-ს, ჩვენს შემთხვევაში $\Delta h=4,0<4,09$ მ.

უკეთესი მდგომარეობაა დასავლეთიდან მდებარე ნაკვეთის მიმართ. # 01.11.12.023.019 საკადასტრო კოდის მქონე, შპს „აი ჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე მდებარე 1/3 შენობის საძირკვლის ძირის ჩაღრმავება სავარაუდოდ 1,50 მ-ია, ხოლო „D“ ბლოკის 800 მმ. სისქის მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ძირი ჩაღრმავებულია რელიეფის ზედაპირიდან დაახლოებით 5,40 მ-თ. რელიეფის ზედაპირებს შორის დონეთა სხვაობის გათვალისწინებით [# 01.11.12.023.019 და # 01.11.13.001.122 („D“ ბლოკთან) ნაკვეთებს შორის დონეთა სხვაობა დაახლოებით 0,50 მ-ია], დონეთა სხვაობა საძირკვლის ძირებს შორის (5,40-1,50-0,50=3,40 მ) 3,40 მ-ია. მაშინ „შენობების და ნაგებობების ფუძეები (პნ 02.01-08)“-ის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების თანახმად $tg\Psi=tg\varphi+C_1/p=tg21^{o}+0,1/4,0=0,384+0,025=0,409$, ხოლო მე-4 ფორმულის

მიხედვით დონეთა სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს $\Delta h \leq a \ tg\Psi = 9,50X0,409 = 3,70$მ-ს, ჩვენს შემთხვევაში $\Delta h = 3,40 < 3,70$ მ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ხევძმარის ქუჩა #1-ის მიმდებარედ, შ.პ.ს. „დონა გრუპი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (მიწის საკადასტრო კოდი # 01.11.13.001.122. ძველი საკადასტრო კოდის ნომერი 01.11.13.001.117) დაპროექტებული „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს მშენებლობა უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობებზე მშენებლობის დროს და მისი დასრულების შემდეგაც.

ინსპექტორი: /რამაზ აფხაძე/

კვლევის შედეგების ანალიზი და დასკვნა

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ხევძმარის ქუჩა #1-ის მიმდებარედ, შ.პ.ს. „დონა გრუპი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (მიწის საკადასტრო კოდი # 01.11.13.001.122. ძველი საკადასტრო კოდის ნომერი 01.11.13.001.117) დაგეგმილი „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს მშენებლობა, მშენებლობის პროცესში და მისი დასრულების შემდეგაც, უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ტექნიკა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის #361-ე დადგენილების _ „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხარისხიანად და უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პირობებში დაცული იქნება ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ხევძმარის ქუჩა #1-ის მიმდებარედ, შ.პ.ს. „დონა გრუპი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (მიწის საკადასტრო კოდი # 01.11.13.001.122) სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა და შესაძლებელი იქნება მათი უსაფრთხო ექსპლოატაცია ახალი მშენებლობის დასრულების შემდეგაც.

ინსპექტორი: /რამაზ აფხაძე/

ტექნიკური მენეჯერი: /დავით ჯიბლაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: /ლალი აბუაშვილი/



ტერიტორიაზე შესასვლელი



საპროექტო ტერიტორია



საპროექტო ტერიტორია



საპროექტო ტერიტორია



საპროექტო ტერიტორია




საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე თანამესაკუთრეთა, შპს „ლიდერი“-ის, შპს „აგრო ბიზნეს გრუპი“-ს, შპს „მოდერნ ბიზნეს გრუპი“-ს და შპს „გემა“-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.079 და მასზე განთავსებული ათსართულიანი მრავალფუნქციური კომპლექსის შენობა (შენობა 1/10 საკადასტრო გეგმის მიხედვით)



საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე: მოქალაქე კახა ბერაძის საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.050; მოქალაქე გიორგი აფციაურის საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.035; დაურეგისტრირებელი თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდის გარეშე; შპს „დონა გრუპ“-ის საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.121 და შპს „ახალი მზერა“-ს საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.033.



საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე, სააქციო საზოგადოება „ქროსი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.002.264



საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მოჯნაზე მდებარე, სააქციო საზოგადოება „ქროსი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.002.264



საპროექტო ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მოჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, საერთო სარგებლობის შიგა მოხმარების გზა



საპროექტო ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შპს „გამა“-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.004 და მასზე განთავსებული ერთსართულიანი შენობა-ნაგებობები



საპროექტო ტერიტორიას დასავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შპს „აი ჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.12.023.019 (ქალაქი თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა #1) და მასზე განთავსებული, კომერციული ფუნქციის მქონე სამსართულიანი შენობა (შენობა 1/3 საკადასტრო გეგმის მიხედვით).



საპროექტო შენობის ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, საერთო სარგებლობის შიგა მოხმარების გზა.



საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე თანამესაკუთრე მოქალაქეების: გიორგი იოსელიანის, გიორგი მაისურაძის და ზაურ იოსელიანის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.007 და მასზე განთავსებული კომერციული ფუნქციის მქონე ერთსართულიანი შენობა.



საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შპს „ა-დ კომპანი“-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.084 და მასზე განთავსებული, საზკვების ობიექტი (რესტორანი „ოქროს ნალი“)



საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შპს „ა-დ კომპანი“-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 01.11.13.001.084 და მასზე განთავსებული, საზკვების ობიექტი დამხმარე შენობებით [შენობები 01(2); 02(1); 03(1); 04(3); 05(1); 06(1); 07(1) და 08(1).

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0306

ადასტურებს, რომ

შპს „პონტიკა“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი, შ. სულაბიძის №183/185;

შეფასდა და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტაციის სფერო მოცემულია აკრედიტაციის მოწმობის დანართში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
19 მარტი 2021 წ.

ძალაშია
17 იანვარი 2023 წ.

ბ.ა.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი **GAC-IB-0255**
განკარგულება №06/12
თარიღი: 17.01.2019 წელი

სფეროს გაფართოება
აკრედიტაციის მოწმობის ნომერი **GAC-IB-0306**
განკარგულება №06/147
თარიღი: 19.06.2019 წელი

მისამართის ცვლილება
აკრედიტაციის მოწმობის ნომერი **GAC-IB-0306**
განკარგულება №06/59
თარიღი: 19.03.2021 წელი

სფეროს აქტუალიზაცია
აკრედიტაციის მოწმობის ნომერი **GAC-IB-0306**
განკარგულება № 01/40
თარიღი: 08.06.2021 წელი

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე

A -ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო

შპს „პონტიკა“

მისამართი: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის № 183/185

N	ინსპექტირების ობიექტი	ინსპექტირების ტიპი და ზღვარი	მეთოდები და პროცედურები
1.	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან ან/და პროექტთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები - (ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 4. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 14 იანვრის დადგენილება N55); 5. ВниР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6. ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7. ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8. PNT/IB/IP-7.1-21-03-A19 ინსპექტირების პროცედურა
2.	ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით)	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, შესყიდვების დოკუმენტებთან, მშენებლობის დროისთვის არსებულ საშუალო საბაზრო ფასებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერებისა (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV-82); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები - (ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 4. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 14 იანვრის დადგენილება N55); 5. ВниР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6. ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7. ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8. PNT/IB/IP-7.1-21-03-A21 ინსპექტირების პროცედურა.

3.	ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების), შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით) აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 6. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის, გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“; 7. PNT/IB/IP-7.1-21-03-A22 ინსპექტირების პროცედურა.
4.	ობიექტის ან მისი ნაწილის საინჟინრო ქსელების: • ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით), • სუსტი დენების; • გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების; • წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინების სისტემების; - -შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3;) 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ) 5. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ) (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 6. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 7. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“; 8. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 9. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН); 10. ისო/იეკ 11801-2017 11. PNT/IB/IP-7.1-21-03-A22 ინსპექტირების პროცედურა.

5.	ობიექტის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით), სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინების ქსელების და სისტემების) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა – ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრავიო სამუშაოების პროცესზე დასწრება/დაკვირვება და შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 4); 3. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“; 6. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“) 7. .ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 8. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ) (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 9. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 10. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის # 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“; 11. PNT/IB/IP-7.1-21-03-A23 ინსპექტირების პროცედურა;
6.	პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის/დასკვნის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 4); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. PNT/IB/IP-7.1-21-03-A45 ინსპექტირების პროცედურა

7.	პროექტის არქიტექტურული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“) 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71) 5. PNT/IB/IP-7.1-21-03-A49 ინსპექტირების პროცედურა.
8.	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების) მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ) (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 3. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“; 6. PNT/IB/IP-7.1-21-03-A44 ინსპექტირების პროცედურა
9.	პროექტის საინჟინრო ქსელების: ელ. მომარაგება 1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით, და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები-(СНиП-ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისშესახებ) (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 3. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“

			(საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“; 6. PNT/IB/IP-7.1-21-03-A26 ინსპექტირების პროცედურა.
10.	პროექტის საინჟინრო ქსელების: სუსტი დენების და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН); 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. ისო/იეკ 11801-2017; 6. PNT/IB/IP-7.1-21-03-A26 ინსპექტირების პროცედურა.
11.	პროექტის საინჟინრო ქსელების: წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 5. PNT/IB/IP-7.1-21-03-A47 ინსპექტირების პროცედურა
12.	პროექტის საინჟინრო ქსელების: ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. PNT/IB/IP-7.1-21-03-A53 ინსპექტირების პროცედურა

13.	პროექტის შრომის უსაფრთხოების ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია; ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 3); 2. ტექნიკური რეგლამენტი: „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილება, N 361); 3. ტექნიკური რეგლამენტი: “ სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები“ (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება N 477) 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 5. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 6. PNT/IB/IP-7.1-21-03-A55 ინსპექტირების პროცედურა